



**ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**პროგრამის სახელწოდება**

არქიტექტურა ARCHITECTURE

**განათლების საფეხური**

ბაკალავრიატი BACHELOR DEGREE

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

არქიტექტურის ბაკალავრი BACHELOR OF ARCHITECTURE

**პროგრამის მოცულობა ECTS**

240

**სწავლების ენა**

ქართული

**სწავლის ღირებულება**

2000 ლარი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურში და ერთიანი ეროვნული გამოცდები. პირები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება ჩაირიცხონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გადიან მხოლოდ შემოქმედებით ტურს. შემოქმედებითი ტური ზემოაღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე ტარდება ხაზვაში ეროვნულ გამოცდებამდე.

<b>თითოეული საკონკურსო ნამუშევარი საგამოცდო კომისიის მიერ ფასდება 100 ქულიანი სისტემით მოცემულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის ერთობლიობით. მინიმალური ზღვარი - 51 ქულა (0-50 ჩაიჭრა)</b>	
<b>ბაზა - ორი ხედიდან მესამე ხედის და დეტალის იზომეტრიული გამოსახულების აგება (5საათი)</b>	
<b>შეფასების კრიტერიუმები და ქულები (1 კრიტერიუმი ფასდება 0-10 ქულით)</b>	
ნახაზის გაფორმების წესები, მათ შორის - ჩარჩო და შტამპი; ნახაზების კომპოზიციური განაწილება ფორმატზე; წარწერები (ძირითადი და დამხმარე, შრიფტი);	9-10 ქულა – სრულად არის დაცული კრიტერიუმი;

<p>მასშტაბი;          იზომეტრიული გამოსახულების აგება;          ზომების დატანის ძირითადი წესები (ციფრები, ასოები, ისრები, სხვა აღნიშვნები);          ხაზების ტიპები და სისქეები;          გეომეტრიული აგების წესები;          ხედების აგების სიზუსტე - გრაფიკული შედეგები;          ნახაზის შესრულების კულტურა.</p>	<p>7-8 ქულა – ძირითადად არის დაცული კრიტერიუმი;          5-6 ქულა – ნაწილობრივ არის დაცული კრიტერიუმი;          3-4 ქულა – კრიტერიუმი ნაწილობრივ ნაკლოვანია;          1-2 ქულა – კრიტერიუმი ძირითადად ნაკლოვანია;          0- ქულა – არ არის დაცული კრიტერიუმი.</p>
---	---

**პროგრამის მიზანი**

1. პროგრამის მიზანია სტუდენტმა შეიძნოს ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა არქიტექტურაში. შეძლოს პროფესიული კომპეტენციის ფორმირება, რომელიც საშუალებას მისცემს წარმატებით იმუშაოს არჩეულ სფეროში და იყოს მდგრადი შრომის ბაზარზე. შეისწავლოს არქიტექტურული პროექტების/კონცეფციების ხორშესხმისთვის აუცილებელი პროცესები, დაპროექტების უახლესი მეთოდები. წარმოსახვითი შემოქმედებითი მიდგომით, სამგანზომილებიანი სივრცითი აზროვნებით ჩამოაყალიბოს საპროექტო კონცეფცია და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შექმნას არქიტექტურული პროექტი.
2. დაეუფლოს არქიტექტურასთან დაკავშირებული სფეროების ხელოვნების, ტექნოლოგიების, საინჟინრო, სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ცოდნას. გააცნობიეროს ქალაქმშენებლობის, გარემოს დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობები.
3. ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულის პროფესიულ, შემოქმედებით საქმიანობას ფუნქციური, ესთეტიკური, ჰარმონიული, კომფორტული და უსაფრთხო არქიტექტურული გარემოს შესაქმნელად საზოგადოების, დამკვეთის, მომხმარებლის ინტერესებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით. განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებები და დაგეგმოს საკუთარი პროფესიული განვითარება.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**

- ევრისტიკული მეთოდი; ახსნა–განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტირების თანამედროვე ევრისტიკული მეთოდები: დეკონსტრუქციის მეთოდი; გონებრივი იერიში; დაკვირვების მეთოდი; ემპათიის მეთოდი; მოწინავე ტექნოლოგიის მეთოდი; ინვერსიის მეთოდი; ანალოგიის მეთოდი.
- სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.
  - საკონსულტაციო საათები განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად.

**ცოდნა და გაცნობიერება**

1. ფლობს არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ხელოვნების, ტექნოლოგიების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების უახლესი მიღწევების ცოდნას.
2. აცნობიერებს სოციალურ-კულტურულ, ქალაქმშენებლობით, არქიტექტურულ ფასეულობებზე, გარემოს დაცვაზე და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობებს.
3. აღწერს და კრიტიკულად იაზრებს არქიტექტურული პროექტების/კონცეფციების ხორცშესხმისთვის აუცილებელ პროცედურებს და პროცესებს, ასევე დაპროექტების თეორიისა და მეთოდების ზოგიერთ უახლეს ასპექტებს.
4. იაზრებს შენობა-ნაგებობის სისტემებთან დაკავშირებულ სტრუქტურებს, მასალებს, კონსტრუქციებს, სამშენებლო პროცესებს, ტექნოლოგიებსა და სხვა საინჟინრო საკითხებს.
5. გარემოს დაგეგმარების, შენობა-ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ექსპლოატაციის პროცესებში აცნობიერებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, დარგობრივ სამართლებრივ რეგულაციებს და არქიტექტორთა პროფესიულ ეთიკას, არქიტექტურის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას.

**უნარი**

6. წარმოსახვით და შემოქმედებითი მიდგომით, სამგანზომილებიანი, სივრცითი აზროვნებით აყალიბებს საპროექტო კონცეფციას და წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ფუნქციური, ტექნიკური, ესთეტიკური და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით ქმნის არქიტექტურულ პროექტს.
7. საპროექტო დავალებებისთვის შეგროვილი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და კვლევის მეთოდების გამოყენებით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ამუშავებს და დოკუმენტურად აფორმებს არქიტექტურულ პროექტს.
8. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში, ერთდროულად ითვალისწინებს და ასახავს კონსტრუქციებს, ტექნოლოგიებს, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკურ და საექსპლუატაციო თვისებებს, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს.
9. არქიტექტურული პროექტის შემუშავების, წარდგენისა და განხილვისთვის იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, მაკეტირების, ვერბალურ, წერით, მულტიმედიის და სხვა მეთოდებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

10. არქიტექტურული დაპროექტების პროცესში, პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და ამ პროცესში სხვადასხვა ფორმითა და მეთოდებით ამყარებს კომუნიკაციას.
11. განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

## დასაქმების სფერო

სასწავლო კურსის გავლისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებული თავის რეალიზაციას შეძლებს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- არქიტექტურულ-საპროექტო და დიზაინ-სტუდიებში;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურებში;
- არქიტექტურულ-სამშენებლო და დეველოპერულ კომპანიებში;
- აზომვითი სამუშაოების მწარმოებელ ფირმებში;
- ინდივიდუალურ შემოქმედებაში;
- შესაბამისი კვალიფიკაციის საწარმოში.

## შეფასების სისტემა

სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასება 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდა 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.

დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).

სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი „ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:

- ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;
- ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

- FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

**სწავლის გაგრძელება**

ბაკალავრის ხარისხის მოპოვების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

<b>სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა</b>		
<b>აკადემიური პერსონალი</b>		
<i>სახელი, გვარი</i>	<i>სტატუსი</i>	<i>სასწავლო კურსი</i>
მაია ჭიჭილეიშვილი	პროფესორი	ძველი ქართული ხუროთმოძღვრება (ზოგადი კურსი); ახალი ქართული ხელოვნება (ზოგადი კურსი); მხატვრული ტენდენციები XIX-XX საუკუნეების საქართველოს არქიტექტურაში
გიორგი რამიშვილი	ასოცირებული პროფესორი	არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები და აზომვითი პრაქტიკა; საბაკალავრო ნაშრომი; არქიტექტურული გეგმარება 1-5; დარგობრივი სამართალი არქიტექტურის სფეროში.
რატი ჩიბურდანიძე	პროფესორი	მსოფლიო ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსი; არქიტექტურის ისტორია (ძველი მსოფლიოდან XIX საუკუნის 70-იან წლებამდე) არქიტექტურის ისტორია (XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე)
ზვიად ბურჭულაძე	ასოცირებული პროფესორი	არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები და აზომვითი პრაქტიკა; არქიტექტურული გეგმარება 1-5; საბაკალავრო ნაშრომი; ურბანული ეკოლოგიის საფუძვლები
გულნარა გორგილაძე	ასოცირებული პროფესორი	ინგლისური ენა
სერგო გოგოლაძე	ასოცირებული პროფესორი	ხატვა 1-2
ნოდარ კვიციანი	ასოცირებული პროფესორი	ფერწერა 1-2; ფერთმცოდნეობა
მიხეილ კვაჭაძე	ასოცირებული პროფესორი	სპეც. ქანდაკება
<b>მოწვეული პერსონალი</b>		
ნათია მიქელთაძე	I კატეგორიის სპეციალისტი	აკადემიური წერა
ზვიად ბურჭულაძე	I კატეგორიის სპეციალისტი	არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები და აზომვითი პრაქტიკა; არქიტექტურული გეგმარება 1-5; საბაკალავრო ნაშრომი; ურბანული ეკოლოგიის საფუძვლები
ნატალია ზამთარაძე	I კატეგორიის სპეციალისტი	არქიტექტურული მასალათმცოდნეობა
ელგუჯა ხაზარაძე	I კატეგორიის სპეციალისტი	ინტერიერის დიზაინის საფუძვლები; ერგონომიკის საფუძვლები; მხაზველობითი გეომეტრია
მარტა ჩიკაშუა	I კატეგორიის სპეციალისტი	შესავალი სპეციალობაში და არქიტექტურული გრაფიკის საფუძვლები; ლანდშაფტური არქიტექტურის საფუძვლები; არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები და აზომვითი პრაქტიკა
ია მოწყობილი	I კატეგორიის სპეციალისტი	კომპიუტერული ტექნოლოგიები – Word; Power Point. Excel; Photoshop; Illustrator
მარიამ ლომიძე	I კატეგორიის სპეციალისტი	ქალაქი, ტრანსპორტი და ქალაქმშენებლობითი პროექტირება
ლელა თურმანიძე	I კატეგორიის სპეციალისტი	კალკულუსი
მირანდა ხაჯიშვილი	I კატეგორიის სპეციალისტი	ფიზიკის შესავალი; არქიტექტურული ფიზიკა

ნინო ინაიშვილი	I კატეგორიის სპეციალისტი	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
ბექა თოიძე	I კატეგორიის სპეციალისტი	არქიტექტურული გეგმარება 1-5; შესავალი სპეციალობაში და არქ-გრაფიკის საფუძვლები; არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები და აზომვითი პრაქტიკა; საბაკალავრო ნაშრომი.
ნინო მექვაბიშვილი	I კატეგორიის სპეციალისტი	შემოქმედების ფსიქოლოგია
ვლადიმერ მჟავანაძე	I კატეგორიის სპეციალისტი	მაკეტირება 1-2
გელა სალუქვაძე	I კატეგორიის სპეციალისტი	არქიტექტურული კონსტრუქციები; შენობების საინჟინრო აღჭურვა; კონსტრუქციები
მათე თანდილავა	II კატეგორიის სპეციალისტი	ქალაქთმშენებლობის საფუძვლები; არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები და აზომვითი პრაქტ.
სოფიო ჭანიშვილი	II კატეგორიის სპეციალისტი	რეკონსტრუქცია-რეგენერაცია-ადაპტაცია
ვალერი ადონია	II კატეგორიის სპეციალისტი	გეოდეზია და სავლე პრაქტიკა
დიანა ფარტენაძე	II კატეგორიის სპეციალისტი	შენობა-ნაგებობათა უსაფთხოება
სოსლან ლომიძე	II კატეგორიის სპეციალისტი	მშენებლობის ორგანიზების საფუძვლები
თამთა შავიძე	II კატეგორიის სპეციალისტი	კომპიუტერული ტექნოლოგიები 3 – AutoCAD; კომპიუტერული ტექნოლოგიები 4 -5 Revit

### **პროგრამის ხელმძღვანელი**

გიორგი რამიშვილი-ასოცირებული პროფესორი; ზვიად ბურჭულაძე-ასოცირებული პროფესორი; ბექა თოიძე I კატ. სპეციალისტი

### **სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი**

ბხსუ უზრუნველყოფილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებითა და სასწავლო სახელოსნოებით. ბხსუ-ს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის



სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	კრედიტი	საათების რ-ბა			კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								
				სულ	საკონტ.	მზობუკ	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>სპეციალობის ძირითადი კურსები</b>				<b>207</b>	<b>5175</b>	<b>2720</b>	<b>2455</b>	<b>21</b>	<b>26</b>	<b>28</b>	<b>32</b>	<b>28</b>	<b>27</b>	<b>30</b>	<b>15</b>
3C1-1		ხატვა 1	3	75	45	30	3								
3C1-2	3C1-1	ხატვა 2	3	75	45	30		3							
3C2-1		ფერწერა 1	3	75	45	30		3							
3C2-2	3C2-1	ფერწერა 2	3	75	45	30			3						
3C3-1		მხაზველობითი გეომეტრია 1	3	75	45	30	3								
3C3-2	3C3-1	მხაზველობითი გეომეტრია 2	3	75	30	45		3							
F2		ფერთმცოდნეობა	3	75	45	30	3								
3C3		კალკულუსი	5	125	50	75	5								
3C4		შესავალი სპეციალობაში და არქიტექტურული გრაფიკის საფუძვლები	4	100	60	40	4								
F23		მსოფლიო ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსი	3	75	30	45	3								
F24		არქიტექტურის ისტორია (ძველი მსოფლიოდან XIX საუკუნის 70-იან წლებამდე)	3	75	30	45		3							
F25		არქიტექტურის ისტორია (XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე)	3	75	30	45			3						
F26		ქართული სახვითი ხელოვნების ისტორია (ზოგადი კურსი)	3	75	30	45				3					
F27		ძველი ქართული ხუროთმოძღვრება (ზოგადი კურსი )	3	75	30	45		3							
F28		მხატვრული ტენდენციები XIX-XX საუკუნეების საქართველოს არქიტექტურაში	3	75	30	45			3						
B3b28	B3b5-8	არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები და აზომვითი პრაქტიკა	4	100	60	40		4							
B3b29-1	B3b28; B3b3-2	არქიტექტურული გეგმარება 1	6	150	90	60			6						
B3b29-2	B3b7-1	არქიტექტურული გეგმარება 2	6	150	90	60				6					
B3b29-3	B3b7-2	არქიტექტურული გეგმარება 3	8	200	120	80				8					
B3b729-4	B3b7-3	არქიტექტურული გეგმარება 4	8	200	120	80					8				
B3b29-5	B3b7-4	არქიტექტურული გეგმარება 5	10	250	150	100							10		
B3b8-1		გეოდეზია და სავლე პრაქტიკა	3	75	45	30		3							
B3b9-1		კომპიუტერული ტექნოლოგიები 1 - Word; Power Point. Excel	4	100	45	55		4							

B3b9-2	B3b9-1	კომპიუტერული ტექნოლოგიები 2 – Photoshop; Illustrator	3	75	45	30			3						
B3b9-3	B3b9-2	კომპიუტერული ტექნოლოგიები 3 - AutoCAD	4	100	60	40			4						
B3b9-4	B3b9-3	კომპიუტერული ტექნოლოგიები 4 - Revit	4	100	60	40				4					
B3b9-5	B3b9-4	კომპიუტერული ტექნოლოგიები 5 - Revit	4	100	60	40					4				
B3b10	B3b1-2	სპევ. ქანდაკება	3	75	45	30			3						
B3b30		ერგონომიკის საფუძვლები	3	75	30	45			3						
B3b31		არქიტექტურული კონსტრუქციები და პრაქტიკა	4	100	60	40			4						
B3b32	B3b31	მშენებლობის ორგანიზების საფუძვლები	2	50	30	20				2					
Hfc-35		შემოქმედების ფსიქოლოგია	3	75	30	45				3					
B3b14-1		შენობების საინჟინრო აღჭურვა	4	100	50	50				4					
B3b15-1	B3b10	მაკეტირება	3	75	45	30				3					
B3b33	B3b31	კონსტრუქციები 1	3	75	45	30				3					
B3b34	B3b33	კონსტრუქციები 2	3	75	45	30					3				
B3b17	B3b6; B3b11	ინტერიერის დიზაინის საფუძვლები	5	125	75	50				5					
B3b18-1		ფიზიკის შესავალი	2	50	30	20				2					
B3b18-2	B3b18-1	არქიტექტურული ფიზიკა	5	125	50	75					5				
B3b35	B3b31	არქიტექტურული მასალათმცოდნეობა	5	125	50	75					5				
B3b36		ქალაქმშენებლობის საფუძვლები	3	75	30	45						3			
B3b37	B3b5-8	ლანდშაფტური არქიტექტურის საფუძვლები	4	100	60	40						4			
B3b38	Hfc-32	შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ადაპტაცია	3	75	45	30						3			
B3b39		შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოება	5	125	50	75						5			
B3b43	B3b36	ქალაქი, ტრანსპორტი და ქალაქმშენებლობითი პროექტირება	5	125	45	80							5		
Hfc-18-1		დარგობრივი სამართალი არქიტექტურის სფეროში	5	125	50	75							5		
B3b44	B3b36	ურბანული ეკოლოგიის საფუძვლები	5	125	50	75							5		
B3b45	B3b38	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	5	125	45	80							5		
B3b46	B3b29-5	საბაკალავრო ნაშრომი	15	375	225	150								15	
<b>საუნივერსიტეტო სავალდებულო</b>			<b>13</b>	<b>325</b>	<b>130</b>	<b>195</b>	<b>8</b>	<b>5</b>							
ucBA1		აკადემიური წერა	3	75	30	45	3								
ucBA3-1		ინგლისური ენა	5	125	50	75	5								
ucBA3-2	ucBA3-1	ინგლისური ენა	5	125	50	75		5							
<b>არჩევითი ბლოკები/კურსები</b>			<b>20</b>	<b>500</b>								<b>5</b>	<b>5</b>	<b>10</b>	
<b>სულ</b>			<b>240</b>	<b>6000</b>				<b>29</b>	<b>31</b>	<b>28</b>	<b>32</b>	<b>28</b>	<b>32</b>	<b>35</b>	<b>25</b>